წერილის ნომერი:3/23198434
თარიღი: 02/09/2024

ადრესატი:

გიორგი გაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 05

დ.ლენტეხი 30.08.2024 წ.

2024 წლის 30 აგვისტოს დღის 10 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი.

კომისიის წევრები - გიორგი გაზდელიანი, დავით პირველი, მევლუდ ლიპარტელიანი, ირაკლი ქურასბედიანი,ზურაბ ონიანი, მოწვეული სპეციალისტი ამირან ლიპარტელიანი,მოწვეული სტუმარი ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე და კომისიის მდივანი თეა ქურდიანი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩასატარებლად საჭირო შენობა - ნაგებობის ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს:ს. ავალიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო - სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ.

/მომხს: ს. ავალიანი/

1. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა აღნიშნა, რომ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა განახორციელონ შემდეგი საქმიანობები:

   განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგას სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად (გამოყოფილი სტენდი იმ ზომის უნდა იყოს,რომ სააგიტაციო მასალის გამოფენისას ყველა საარჩევნო სუბიექტი თანაბარი პირობებით იყოს უზრუნველყოფილი).

2. არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა უნდა გამოაქვეყნონ ინფორმაცია სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე. შესაბამისად კომისიამ მოამზადა განკარგულების პროექტები - წინასაარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად საჭირო შენობა-ნაგებობის ნუსხის დამტკიცების შესახებ და ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო - სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ.

   აღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა განკარგულების პროექტები.(თან ერთვის).

   განკარგულების პროექტთან - წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩასატარებლად საჭირო შენობა - ნაგებობის ნუსხის დამტკიცების შესახებ აზრი გამოთქვა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ, მან აღნიშნა, რომ დაბა ლენტეხში საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად დაემატოს კულტურის ცენტრის შენობა და მუავე წყლის მიმდებარე ტერიტორია.

   განკარგულების პროექტებთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ ყოფილა.

   კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს: რომ აღნიშნული პროექტები გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე მოსასმენებლად.

სოსო ავალიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია-სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე